შეთანხმება N 1
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
N 34 ხელშეკრულებაში ცვლილების თაობაზე
(კონსოლიდირებული ტენდერი № CON140000002)

ქ. თბილისი 30 ივნისი 2014წ.

ერთი მხრივ, სს "ნენსკრა", შემდგომში "შემსყიდველი", წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის, თეიმურაზ კოპაძის სახით და მეორე მხრივ, **შპს „ლუკოილ ჯორჯია“** შემდგომში „მიმწოდებელი”, წარმოდგენილი დირექტორის ზაზა ქათამაძის სახით, ორივე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 20^2 მუხლის, ,,2014 წლის ნავთობპროდუქციის (საწვავის) სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 5 დეკემბრის N1816 განკარგულების, ,,ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 29 დეკემბრის N25 ბრძანების, ხელშეკრულების მე-10 მუხლისა და 2014 წლის ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო კომისიის 2014 წლის 20 ივნისის სხდომის #11 ოქმის საფუძველზე, ვთანხმდებით N 34 ხელშეკრულებაში განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები:

1. <u>ხელშეკრულების 2.2. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:</u>

„2.2. საწვავის შეძენა პირველ ეტაპზე (2014 წლის 1 იანვრიდან ეტაპობრივად, მაგრამ არაუგვიანეს 2014 წლის 1 ნოემბრისა) განხორციელდება ტალონებით ან/და პლასტიკური ბარათების საშუალებით, მეორე ეტაპზე - აგაი სისტემის საშუალებით, მხოლოდ იმ ავტორიზებული ავტომანქანებისთვის და იმ საორიენტაციო რაოდენობით რაც მითითებულია ხელშეკრულების დანართში (დანართი N2 ლიმიტები და ავტომანქანების მონაცემები). საწვავის მიღება განხორციელდება მხოლოდ ხელშეკრულების დანართით (ავტოგასამართი სადგურების სია დანართი N3) განსაზღვრულ ავტოგასამართ სადგურებზე“.

2. <u>ხელშეკრულების 5.1. პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:</u>

„ა)უზრუნველყოს შემსყიდველისათვის საწვავის ბარათების ან აგაი სისტემის მეშვეობით (აგაი სისტემა უნდა დაინერგოს 2014 წლის 1 იანვრიდან ეტაპობრივად, მაგრამ არაუგვიანეს 2014 წლის 1 ნოემბრისა) მიწოდება; საწვავის ტალონების (10 და 20 ლიტრიანი ტალონის ნომინალებით) მიწოდება zუზრუნველყოს შემსყიდველის მოთხოვნიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში, რის საფუძველზეც დაუყოვნებლივ ფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი ტალონების გადაცემაზე შემსყიდველის მინდობილობით უფლებამოსილი პირისათვის. (ტალონების გადაცემის შემდეგ მათი დაკარგვის, დაზიანების ან განადგურების რისკი გადადის შემსყიდველზე, ამასთან, უკვე გადაცემული ტალონები არ ექვემდებარება დაბრუნებას ან სხვა სახეობის საწვავის ტალონებზე გადაცვლას);“.

3. <u>ხელშეკრულების 5.1. პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:</u>

„გ) უზრუნველყოს 2014 წლის 1 იანვრიდან ეტაპობრივად, მაგრამ არაუგვიანეს 2014 წლის 1 ნოემბრისა აგაი სისტემის დანერგვა (პლასტიკური ბარათების და აგაი სისტემის მოხმარების წესები განისაზღვრება დამატებითი დანართით). პლასტიკური ბარათების გაცემის და აგაი სისტემის დამონტაჟების პრიორიტეტულობა შემსყიდველი ორგანიზაციების მიხედვით განისაზღვრება მიმწოდებლისა და შემსყიდველის შეთანხმებით. აგაი სისტემის დანერგვის შემდეგ, საწვავის პლასტიკური ბარათების ან/და ტალონის სახით მიწოდება უნდა მოხდეს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, სატენდერო დოკუმენტაციის, ,,ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 29 დეკემბრის N25 ბრძანებისა ან/და სატენდერო კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე.“.

4. წინამდებარე შეთანხმება ძალაშია 2014 წლის 1 ივლისიდან.

5. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

6. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ერთი - შემსყიდველს.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	*მიმწოდებელი:*
სს "ნენსკრა"	**შპს „ლუკოილ ჯორჯია“**
ს.კ 404408565	**ს.კ 204976302**
დირექტორი	**დირექტორი**
_____	_____
თეიმურაზ კოპაძე	**ზ. ქათამაძე**